

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2022 წლის აგვისტო

ქ. ბათუმი

ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

დამტკიცდეს ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

**განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის
დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

**ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის
დამტკიცების შესახებ
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღება.**

სსიპ ბათუმის ბულვარმა 2022 წლის თებერვალში დაასრულა ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის დოკუმენტზე მუშაობა. იგი მოიცავს სამ ნაწილს: კვლევით ნაწილს, განაშენიანების გეგმას და დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტს - გზამკვლევს (გაიდლაინს). პროექტის მთავარი მიზანი იყო ბულვარის სამომავლო განვითარების ხედვის შემუშავება და განაშენიანების გეგმის დოკუმენტის მომზადება მისი ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებით და ხაზგასმით. ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავების და მიღების ეტაპზე ჩართული იყო არასამთავრობო და სამთავრობო უწყებების დარგის საუკეთესო სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ

მამუკა რამიშვილი

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fdrive.google.com%2Fdrive%2Ffolders%2F1_s7DudbR4zg2jTU-JT5Gd9VUZ_Q1L_ke%3Fusp%3Dsharing%26fbclid%3DIwAR1Zi2a_ic5tUOjxSLjRK90_dk5m1ez4nuUfrV3w1ixpQwkStQGO_BQE-og&h=AT0UWI0M9YCCrTPp-7j_MAdScr9wR23yial_S0sUJzygDDQJnsmovoX6fumTWnsO0FLYGIRJOdrxid3Yb3ywwodJloFsOsHac0FGwKEqbdTbQJ61MxNAJZA95dqcPtIw

N 01-11/259
07/06/2022

259-01-11-2-202206070947



<https://edocument.ge/AdjaraGov/public>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

მოგესალმებით ბატონო არჩილ,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ ბათუმის ბულვარმა 2022 წლის თებერვალში დაასრულა ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის დოკუმენტზე მუშაობა. იგი მოიცავს სამ ნაწილს: კვლევით ნაწილს, განაშენიანების გეგმას და დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტს - გზამკვლევს (გაიდლაინს). პროექტის მთავარი მიზანი იყო ბულვარის სამომავლო განვითარების ხედვის შემუშავება და განაშენიანების გეგმის დოკუმენტის მომზადება მისი ლანდშაფტური, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების შენარჩუნებით და ხაზგასმით. ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავების და მიღების ეტაპზე ჩართული იყო არასამთავრობო და სამთავრობო უწყებების დარგის საუკეთესო სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია.

წინამდებარე წერილით, გიგზავნით ბულვარის განაშენიანების გეგმის მოცულობითი დოკუმენტის ელექტრონული ვერსიას.

დოკუმენტების ჩამოსატვირთად, გთხოვთ, იხილოთ ლინკი:

https://drive.google.com/drive/folders/1_s7DudbR4zg2jTU-JT5Gd9VUZ_Q1L_ke?usp=sharing

პატივისცემით,

სოფიო ლაზიშვილი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ "ბათუმის ბულვარი"

